საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბახტაძე იური კონსტანტინეს ძე

ბახტაძე იური კონსტანტინეს ძე (დ. 23, I. 1947, თბილისი). გეოლოგი.

1969 დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის გეოლ. ფაკ-ტი. იმავე წლიდან მუშაობდა საწარმოო გაერთიანება „საქგეოლოგიაში“ (ახლანდ. საქართვ. რესპ. გეოლ. დეპარტამენტი). 1980-იდან იყო მეთოდური ექსპედიციის კომპლ. გეოლ. ანალიზისა და პროგნოზირების საცდელ-მეთოდური პარტიის უფროსი.

მინერ. რესურსების პროგნოზის ავტომატიზებული ტექნოლოგიის დამუშავებისა და სახ. მეურნეობაში მისი დანერგვისათვის სხვა სპეციალისტებთან ერთად მიენიჭა სსრკ სახელმწ. პრემია (1988).

თხზ.: Методическое руководство по прогнозированию и составлению среднеи крупномасштабных прогнозных карт на медные и полиметалические руды, М., 1987 (თანაავტ.).

ვ. ჯავრიშვილი